




აღტე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულება

(დამტკიცებულა დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 4 მარტის კრების ოქმით)



შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.....	3
მუხლი 2. ბაკალავრიატის დანიშნულება და მიზანი.....	3
მუხლი 3. ბაკალავრიატში სწავლის უფლება.....	3
მუხლი 4. ბაკალავრიატში მიღება.....	3
მუხლი 5. ბაკალავრიატის დაფინანსება.....	6
მუხლი 6. საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა.....	7
მუხლი 7. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.....	7
მუხლი 8 . საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა.....	8
მუხლი 9. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა.....	9
მუხლი 10. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი.....	10
მუხლი 11. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის-საბაკალავრო ნაშრომის მიზანი და ელემენტები.....	10
მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება.....	11
მუხლი 13. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:.....	11
მუხლი 14. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი.....	12
მუხლი 15. საბაკალავრო ნაშრომის არქიტექტონიკა:.....	12
მუხლი 16. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა:.....	14
მუხლი 17. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება და დაცვის შედეგები.....	15
მუხლი 18. შეფასების ზოგადი წესები:.....	16
მუხლი 19. აკადემიური ხარისხის მინიჭება და ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა	16
მუხლი 20. დასკვნითი დებულებები.....	16
დანართი 1.....	18

ბაკალავრიატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე დებულება შემუშავებულია “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და არეგულირებს უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და საბაკალავრო პროგრამების განხორციელების წესს, აგრეთვე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. ბაკალავრიატის დანიშნულება და მიზანი

1. ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურია და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებას და იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით მუშაობისათვის ან/და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებით.
3. აღნიშნული დებულება ვრცელდება ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზეც.

მუხლი 3. ბაკალავრიატში სწავლის უფლება

1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 48, პუნქტი 1).

მუხლი 4. ბაკალავრიატში მიღება

1. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელ მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც წარმატებით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.
2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე-ბაკალავრიატში შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, შემდეგი პირობებისათვის:
 - ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ

კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. უნივერსიტეტი, ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღების მიზნით აცხადებს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.
4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და უფლება მოიპოვეს, ისწავლონ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით, და მათ უგზავნის უნივერსიტეტს.
5. უნივერსიტეტი ბაკალავრიატში აბიტურიენტებს იღებს მხოლოდ ამ დებულების მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტით განსაზღვრული სიების მიხედვით, ასევე გამოყოფს ადგილებს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის.
6. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ალტე უნივერსიტეტში სწავლის უფლებამოსიებული აბიტურიენტების რეგისტრაცია წარმოებს გამოცდების შედეგების გამოცხადების მომდევნო სამუშაო დღიდან, ხოლო აბიტურიენტის მიერ **წარმოსადგენი დოკუმენტებია**:
 - პირადობის მოწმობის ასლი;
 - საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი) ;
 - ფერადი ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 X 4 (ელ. ვერსია დისკზე);
 - სამხედრო აღრიცხვის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);
 - სწავლის წლიური საფასურის ნახევრის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
7. აბიტურიენტის მიერ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის და აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე უნივერსიტეტის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ. პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება.
8. აბიტურიენტი, რომელიც ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში არ წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ საგანმანათლებლო დოკუმენტს ან სამხედრო გაწვევას დაქვემდებარებული აბიტურიენტი, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო მიწერის მოწმობას, შესაძლებელია ჩარიცხოს უნივერსიტეტში მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტაციის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენის პირობით. დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, ჩარიცხვის ბრძანება უქმდება შესაბამისი აბიტურიენტის ჩარიცხვის ნაწილში.
9. აბიტურიენტი, რომელიც ვერ მოხვდება პრეზიდენტის ბრძანებაში დადგენილ ვადაში უნივერსიტეტისადმი არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით პრეზიდენტის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის

ივნისამდე. ამ გზით აბიტურიენტის ჩარიცხვა უნივერსიტეტში გამოიხატება მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

10. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, ალტერნატიულ უნივერსიტეტში სწავლის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატის სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ და აკრედიტებულ პროგრამებზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და ასევე ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტთან საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- ა) ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
 - ბ) ჩარიცხვა შეუძლიათ ამ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.
 - გ) უცხოენოვან პროგრამაზე სტუდენტის დაშვებისთვის განისაზღვრება შემდეგი დამატებითი წინაპირობები:
 - ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დგინდება ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე შესაბამისი უცხო ენის ჩაბარების ვალდებულება და განისაზღვრება ამ გამოცდაში კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აისახება პროგრამაში.
 - ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირები პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებული არიან წარმოადგინონ უცხოენოვანი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიარონ გასაუბრება პროგრამის ენაზე.
 - საერთაშორისო სერტიფიკატის შესაბამისობა პროგრამით მოთხოვნილ ენობრივი კომპეტენციის დონესთან განისაზღვრება შემდეგი სქემით:
 - ❖ A2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Key (KET), PTE General Level 1, PTE Academic 30-42;
 - ❖ B1 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Preliminary (PET) და BEC Prelim, IELTS 4-4.5, TOEFL iBT 57-86, TOEIC 550, PTE General Level 2, PTE Academic 43-58, Trinity ISE I
 - ❖ B2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English First (FCE), BEC Vantage, IELTS 5-6.5, TOEFL iBT 87-109, Michigan ECCE, PTE General Level 3, PTE Academic 59-75, Trinity ISE II
 - ❖ C1 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Advanced (CAE) BEC Higher, IELTS 7-8, TOEFL iBT 110-120, TOEIC 880, PTE General Level 4, PTE Academic 76-84
11. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხული პირები პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებული არიან წარმოადგინონ ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიარონ გასაუბრება ქართულ ენაზე.
12. ბაკალავრიატში სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
- ✓ **უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებმა:**
 - აბიტურიენტის განცხადება;
 - 4 ფოტოსურათი 3x4-ზე (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელ.ვერსია CD);
 - მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მხოლოდ პირველი გვერდი თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული);
 - უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- ✓ საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებმა, რომლებიც ბოლო 2 წელი სწავლობდნენ და სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში:
 - აბიტურიენტის განცხადება;
 - 4 ფოტოსურათი 3x4-ზე (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელ.ვერსია CD);
 - მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ;
 - ✓ უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ ალტე უნივერსიტეტში, უნდა წარმოადგინონ:
 - განცხადება პრეზიდენტის სახელზე;
 - 2 ფოტოსურათი 3x4-ზე (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელ.ვერსია CD);
 - მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
13. უცხო ენაზე შედგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.
 14. დოკუმენტების სრულად წარმოდგენისა და შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი ამ მუხლით განსაზღვრული აბიტურიენტი/სტუდენტი მიმართავს უნივერსიტეტს, რომელიც ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მისი უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად.
 15. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბიტურიენტს/სტუდენტს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/ალიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება.
 16. პრეზიდენტის წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ (თუ არასრულწლოვანია-მშობელი ან მეურვე) ან უფლებამოსილი პირი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის შემთხვევაში) დოკუმენტებს ზემოთ მითითებული ჩამონათვალით წარადგენს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. (http://eqe.ge/geo/service/recognition/foreign_recognition)
 17. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ უნივერსიტეტი უფლებამოსილია პირი ჩარიცხოს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
 18. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის, უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე, შეიძლება ჩატარდეს გაცნობითი ლექციები, რომელთა დანიშნულებაა სასურველი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება (როგორც ზოგადი, ისე სფეროს შესაბამისი), პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მიერ.

მუხლი 5. ბაკალავრიატის დაფინანსება

1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატში სწავლება ფასიანია. დაფინანსება ხორციელდება სტუდენტების სასწავლო გადასახადის ხარჯზე, რომლის რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს დადგენილებით.
2. სწავლის საფასურის ოდენობა და ურთიერთ უფლება-მოვალეობანი უნივერსიტეტსა და ბაკალავრს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 6. საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. პროცედურა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-სკოლა, რომელიც ასევე შეიმუშავებს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და ახდენს პროგრამების მოდიფიცირებას;
2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება შეუძლია პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, ასევე სკოლის დეკანს. პრეზიდენტი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, შესაბამისი სკოლის ბაზაზე ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის კოორდინაციაც ევალება სკოლის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს.
3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს.
4. სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამის ცვლილებების პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იგზავნება ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტში.
5. ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის შესახებ და განსახილველად უბრუნებს სკოლის საბჭოს. დასკვნის წარდგენისა და დასკვნაში მითითებული გარემოებების დასაბუთების მიზნით, სკოლის საბჭოს სხდომას შეიძლება დაესწროს ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი (სათათბირო ხმის უფლებით).
6. ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამა წარუდგინოს დირექტორთა საბჭოს, ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გამოსწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, დირექტორთა საბჭოსთვის გადაცემა.
7. სკოლის საბჭოს და ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის რადიკალურად განსხვავებული ხედვის შემთხვევაში დირექტორთა საბჭო შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
8. დირექტორთა საბჭო წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის ცვლილებების განხილვის შემდეგ ამტკიცებს წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე;
9. საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 7. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - ”პროგრამა”) ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის

ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი.

2. პროგრამის ხელმძღვანელი წინამდებარე წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული პროცედურის დაცვით უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესს, ასევე პროგრამის განხორციელების, განვითარება/განახლების და შეფასების პროცესებს; ზრუნავს სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის; ახორციელებს სტუდენტების დახმარებას/ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ.
3. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც ასევე აკმაყოფილებს პროგრამის ხელმძღვანელისათვის დადგენილ მოთხოვნებს და ეხმარება ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში .

მუხლი 8 . საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) პროგრამის სახელწოდება;
 - ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური განათლების საფეხური;
 - გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
 - დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
 - ე) სწავლების ენა;
 - ვ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
 - ზ) პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - თ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტების უნივერსიტეტის მისიის, დასაქმების და განათლების ბაზრის, საერთაშორისო დონეზე საუკეთესო პრაქტიკის და სწავლის სფეროს განვითარების ტენდენციების შესაბამისი თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და/ან მათი გამოყენების შესაძლებლობით უზრუნველყოფაზე;
 - ი) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
 - კ) სწავლის შედეგი;
 - ლ) დასაქმების სფერო;
 - მ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
 - ნ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
 - ო) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
 - პ) პროგრამის განხორციელების რესურსები (ადამიანური და მატერიალური);
 - ჟ) პროგრამის მიზნების და შედეგების დადარება;
 - რ) პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კომპონენტების შედეგების რუკა;
 - ს) პროგრამის შემმუშავებლები არ იზღუდებიან ჰქონდეთ დამატებითი ან განსხვავებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის თავისებურების და/ან პროგრამის ტიპის შესაბამისად.
2. საბაკალავრო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს და განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, პროგრამაში დამატებით უნდა მიეთითოს პარტნიორი უნივერსიტეტი და დაერთოს ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის განხორციელების თაობაზე.
3. პროგრამას თან უნდა ახლდეს სასწავლო კომპონენტების პროგრამები (სილაბუსები);

4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული კატეგორების გამოყენებით:
ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
5. უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
6. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი სასწავლო კურსებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.
7. საგანმანათლებლო პროგრამას დართული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.
8. საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითობა: პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად მოიცავს არჩევით და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო-არჩევით კურსებსაც. აკადემიურ გარემოში სტუდენტის ნავიგაცია უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით.
9. სასწავლო კომპონენტის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.
10. სილაბუსში მიეთითება:
 - ა) სასწავლო კომპონენტის სახელწოდება;
 - ბ) ავტორი და/ან განმახორციელებელი (თუ ავტორი და განმახორციელებელი ერთი და იგივე პირია შესაძლებელია მიეთითოს ერთ-ერთი);
 - გ) სასწავლო კომპონენტის მიზნები;
 - დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად
 - ე) დაშვების წინაპირობები;
 - ვ) სწავლის შედეგები;
 - ზ) შინაარსი;
 - თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;
 - ი) შეფასების კრიტერიუმები;
 - კ) სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა;
 - ლ) სწავლის შედეგების და შეფასების რუკა.
11. სასწავლო კომპონენტის ავტორი და/ან განმახორციელებელი არ იზღუდება, სილაბუსში განათავსოს დამატებითი ინფორმაცია.

მუხლი 9. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (6000-7200 საათს).
2. ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე კრედიტების რაოდენობის შესაბამისად: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს (9000-10800 საათს); სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს (7500-9000 საათს).

მუხლი 10. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი

1. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, სრულად გააცნობიეროს დარგის სპეციფიკა და მნიშვნელობა, ბოლომდე გაითავისოს არჩეული პროფესიის არსი და დანიშნულება.
2. პრაქტიკის მიზნებია:
 - ა) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება და გაფართოვება;
 - ბ) რეალურ სამუშაო გარემოში ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, თეორიული ცოდნის პრაქტიკული აპლიკაცია;
 - გ) სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების მიღწევა, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების მიღება;
 - დ) პრაქტიკული მუშაობის პროცესში დავალების შესაბამისი მონაცემების შეგროვების და განმარტების, განყენებული სიტუაციების ანალიზის და სწორი დასკვნის უნარის დემონსტრირება;
 - ე) შესრულებული სამუშაოს აღწერის, ანალიზის, დასკვნის დასაბუთების უნარის ჩამოყალიბება;
 - ვ) წარმატებული საქმიანობისთვის რელევანტური ინფორმაციის და არსებული გამოცდილების გაზიარების და ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება;
 - ზ) პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება სფეროსათვის დამახასიათებელი ღირებულებების გათვალისწინებით;
 - თ) სტუდენტის დამსაქმებლებთან დაკავშირება სტუდენტის ცოდნისა და კომპეტენციების თვითპრეზენტაციისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
3. პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. სტუდენტი პრაქტიკის ადგილზე ჩაერთვება დაწესებულების პროფესიულ საქმიანობაში და პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, მენტორთან უშუალო მუშაობის, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულების, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის გზით გამოიმუშავებს თეორიული ცოდნის შესაბამის პრაქტიკულ უნარებს.
4. სპეციალობით მომუშავე სტუდენტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
5. პრაქტიკის დღიურის, პრაქტიკის ანგარიშის და შუალედური შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

მუხლი 11. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის-საბაკალავრო ნაშრომის მიზანი და ელემენტები

1. საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ხასიათის პროექტი, რომელსაც ასრულებს სტუდენტი აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და იცავს საჯაროდ. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის და პრაქტიკული

უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, მოხდეს მათი გამდიდრება-გაფართოვება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში.

მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება

1. საბაკალავრო ნაშრომის თემას სტუდენტი ათანხმებს თემის სავარაუდო ხელმძღვანელთან და განცხადებით მიმართავს სკოლის დეკანს, საბაკალავრო ნაშრომის თემის და თემის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე, არაუგვიანეს ბოლო სემესტრის პირველი სასწავლო კვირისა.
2. დეკანი, თავის მხრივ, სტუდენტის მიერ არჩეულ თემას წარუდგენს სკოლის საბჭოს განსახილველად. სკოლის საბჭო არაუგვიანეს მეორე სასწავლო კვირისა ამტკიცებს საბაკალავრო ნაშრომის თემას და თემის ხელმძღვანელს.

მუხლი 13. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

1. საბაკალავრო ნაშრომისთვის სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი);
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები შეიძლება იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს საბაკალავრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება ან პრაქტიკული გამოცდილება.
3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობებია:
 - დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის გეგმის შედგენაში,
 - რელევანტური ლიტერატურის შერჩევაში და მოძიება-დამუშავებაში,
 - ეტაპობრივად შეამოწმოს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი,
 - ჩაუტაროს სტუდენტს კონსულტაციები (კვირაში მინიმუმ 2 საკონტაქტო საათი, როგორც უნივერსიტეტში, ისე „ონლაინ“ ფორმით) და მისცეს მას საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და მითითებები;
 - გამოთქვას შენიშვნები და მოსაზრებები,
 - დაეხმაროს სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში.
4. სტუდენტი დასრულებული, სრულყოფილად გაფორმებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში, წარუდგენს ხელმძღვანელს და დეკანატს. ხელმძღვანელი გაეცნობა ნაშრომს, წერს დასკვნას პლაგიატზე შემოწმების პროგრამის მონაცემების გათვალისწინებით და გადასცემს სკოლის დეკანს.
5. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A4 ფორმატით, შრიფტი - sylfaen; შრიფტის ზომა - 12; და დამოწმებული იყოს ხელმოწერით.
6. დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ნაშრომის სახელწოდებას;
 - ნაშრომის ავტორის ვინაობას;
 - ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
 - ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებს;

- ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების და ნაშრომის ქულობრივ შეფასებას (შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე); პირად აზრს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.
7. დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით და დამოწმებული იყოს ხელმძღვანელის ხელმოწერით.
 8. საბაკალავრო ნაშრომი ხელმძღვანელის დასკვნით გადაეცემა შეფასებისათვის სკოლის საბჭოს მიერ დანიშნულ რეცენზენტს.

მუხლი 14. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი.

1. საბაკალავრო ნაშრომისთვის სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე რეცენზენტი;
2. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს: პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, ასევე მოწვეული პირი. რეცენზენტი უნდა აკმაყოფილებდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისათვის ამ დებულების მე-14 მუხლით წაყენებულ მოთხოვნებს.
3. რეცენზია უნდა შეიცავდეს:
 - ნაშრომის სახელწოდებას;
 - ნაშრომის ავტორის ვინაობას;
 - ნაშრომის მოკლე მიმოხილვას: ნაშრომის არქიტექტონიკა და ტექნიკური პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან; ნაშრომის შესავალში დასახულ მიზნებს სრულად შეესაბამება დასკვნაში ასახული კვლევის შედეგები; აზრი სტრუქტურირებულად ზუსტადაა გადმოცემული - სისტემურადაა ფორმირებული: განხილული საკითხების ადეკვატურობა და შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია; დასმული საკითხი არსებითად ამოწურულია, განხილულია რელევანტური ლიტერატურა, დასკვნები არგუმენტირებულია; ციტირების ტექნიკა დაცულია და ნაშრომის ორიგინალობა დადასტურებულია ავტორის მიერ.
 - ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებს შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით;
 - ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების ხარისხის აღნიშვნას;
 - ნაშრომის ზოგად შეფასებას;
 - პირად აზრს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.
4. რეცენზენტის შეფასება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. საბაკალავრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ინიშნება მეორე რეცენზენტი.
5. მეორე რეცენზენტის დადებითი რეცენზიის შემთხვევაში სტუდენტი დაიშვება დაცვაზე და დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს ორივე რეცენზენტი.
6. მეორე რეცენზენტის უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე და მომდევნო წელს ახალ თემას წარმოადგენს დასაცავად ზოგადად დადგენილი პროცედურის გავლით.
7. საბაკალავრო ნაშრომი და დადებითი რეცენზია (ან უარყოფითი და დადებითი რეცენზიები) უნდა გადაეცეს დაცვის კომისიას ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს ხუთი დღით ადრე.

მუხლი 15. საბაკალავრო ნაშრომის არქიტექტონიკა:

1. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში იგულისხმება: სატიტულო გვერდი (გარე ყდა), რეზიუმე, შინაარსი, ძირითადი ტექსტი, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, დანართი (არსებობის შემთხვევაში).
 - **სატიტულო გვერდი** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის ლოგოს, საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას,

ხელმძღვანელის ვინაობას და მის აკადემიურ სტატუსს, სტუდენტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარმოდგენილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „ალტე უნივერსიტეტი“, მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული საბაკალავრო ნაშრომის დაცვა. აღნიშნული გვერდის ნომერია-1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- **რეზიუმე:** მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი შედეგები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, სქემებს და სხვა.
- რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 250-400 სიტყვამდე. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენაზე (მოთხოვნა არ ვრცელდება ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც რეზიუმე მხოლოდ ინგლისურ ენაზე შესრულდება).
- **შინაარსი:** საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის არსებული სივრცის შევსება სიმბოლოებით: „...“, „_“, და სხვა.
- **ძირითადი ტექსტი:** ძირითადი, ტექსტობრივი ნაწილი შესაძლებელია დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს **შესავალს**. შესავალ ნაწილში მოცემული უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომში დასმული პრობლემის აღწერა, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.
- **დასკვნა:** საბაკალავრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასკვნას, რომელიც მოკლედ უნდა იქნას ჩამოყალიბებული. შეჯამება, უნდა ეფუძნებოდეს ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობისა და ანალიზის შედეგს.
- **ხელმოწერა:** საბაკალავრო ნაშრომის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ხელმოწერა, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი (განთავსდება „დასკვნის“ შემდგომ).
- **გამოყენებული ლიტერატურის** სიის წარმოდგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები: ლიტერატურის სია წარმოდგენილი უნდა იყოს წყაროს ტიპის მიხედვით, ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე; საზღვარი ყველა მხრიდან უნდა იყოს 1 ინჩი (2.54 სმ)
- **გამოყენებული წყაროები:** გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას სტილი, რომელიც მითითებულია დანართ 1-ში.

2. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 9. 000 და არაუმეტეს 10. 000 სიტყვისა (სქოლიოს ჩათვლით). **A4** ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ბეჭვდა წარმოებს ერთ გვერდზე (ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, დანართის სახით, მაგრამ არ იკინძება ნაშრომთან ერთად).

ენა: საბაკალავრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

მინდორი: საზღვარი ყველა მხრიდან უნდა იყოს 1 ინჩი (2.54 სმ).

შრიფტი: საბაკალავრო ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნას შრიფტით – **“sylfaen”** (უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში შესაბამისი შრიფტით). შრიფტის **ზომა 12**. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას უფრო დიდი შრიფტი, ზომით – 14.

სტრუქტურის შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის **ინტერვალი არის 1,5**. მცირე ზომის სექციებისთვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნას თანმიმდევრობით. თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - **10**. (არ ინომრება მარტო პირველი სატიტულე გვერდი).

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან.

მუხლი 16. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა:

1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
2. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება მისი შესრულების ენაზე.
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს საჯაროდ, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიის წინაშე. კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მინიმუმ ორი წევრი (პროგრამის განმახორციელებელი პირები), რომლებიც აფასებენ ნაშრომის დაცვას, ასევე მდივანი. შესაძლებელია, კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ნაშრომის შეფასებისათვის შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილი მოწვეული პირები. დაცვას ესწრება რეცენზენტ(ებ)ი (რომელიც არ მონაწილეობს შეფასებაში).
4. კომისიის შემადგენლობა, შეფასების თავისებურებები (არსებობის შემთხვევაში) და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით.
5. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის თარიღი განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებით. საპატიო მიზეზის არსებობისას, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, პირადი განცხადების საფუძველზე, საბაკალავრო ნაშრომის დაცვა შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურ რეჟიმში, არაუადრეს ბოლო სალექციო კვირისა (მე-15 კვირა) (რეგულირდება პრეზიდენტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით). დაცვის პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.
6. დაცვამდე 5 სამუშაო დღით ადრე საბაკალავრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები სკოლის მიერ ეგზავნებათ კომისიის წევრებს, ხოლო დაცვაზე საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას 1 ბეჭდური ეგზემპლარის სახით. თან უნდა დაერთოს ელექტრონული პრეზენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
7. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, ხელმძღვანელის დასკვნას და მის შეფასებას, ასევე რეცენზენტ(ებ)ის დასკვნას. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის/პრეზენტაციისთვის ეძლევა სტუდენტს.
8. **სტუდენტი** აკეთებს მოხსენებას/პრეზენტაციას. სტუდენტის მოხსენებაში/პრეზენტაციაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მითითებული საბაკალავრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემის შესახებ. უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანალიზი. ბოლოს, კონკრეტულად

ჩამოყალიბდეს მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.

9. მოხსენების/პრეზენტაციის დროს სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს საილუსტრაციო საშუალებები. მოხსენების დამთავრებისთანავე სტუდენტი პასუხობს კომისიის წევრების შეკითხვებს.
10. დასკვნით სიტყვაში სტუდენტი გამოთქვამს თავის მოსაზრებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების ირგვლივ. შემდეგ იმართება დისკუსია, რომელშიც დაცვის კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ დაინტერესებული პირები დამსწრე საზოგადოებიდან.
11. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

მუხლი 17. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება და დაცვის შედეგები

1. დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული სტუდენტს შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე
2. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტს შეფასება არის კომისიის თითოეული წევრის მიერ ამ სტუდენტისთვის მინიჭებულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული.
3. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას შეადგენს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასებისა და ნაშრომის დაცვის შეფასების ქულების ჯამი.
4. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი სისტემის შესაბამისად:

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების– 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას.
6. საბაკალავრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
7. საბაკალავრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ ან იმავე სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.
8. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა.
9. საბაკალავრო ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსია გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შესაბამისი ვადით შესანახად.

მუხლი 18. შეფასების ზოგადი წესები:

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას და შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.
2. შეფასების წესი არ ითვალისწინებს კრედიტის მინიჭებას შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.
3. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი ან წერიტი გამოკითხვა და სხვ.), რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და სხვ), ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
4. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.
5. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების კომპონენტებშიც.
6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
7. სტუდენტთა შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები, კომპეტენციის ზღვრები და სხვ. განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური პროგრამებით (სილაბუსებით).

მუხლი 19. აკადემიური ხარისხის მინიჭება და ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო იერარქიის პირველი დონის კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება სრული სასწავლო ციკლის დასრულების, პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ათვისების და მინიმუმ 240 კრედიტის მოგროვების შედეგად (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის პროგრამის შემთხვევაში, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრთან - შესაბამისად: მინიმუმ 360/300 კრედიტის მოგროვების შედეგად). 2. აკადემიური პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი. მისი გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.
3. აკადემიური პროგრამის დასრულებისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად, უნივერსიტეტი მიღწეული წარმატებების მიხედვით კურსდამთავრებულებს ანიჭებს ორი კატეგორიის დიპლომს:
 - წარჩინების დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5 და მეტი.
 - ჩვეულებრივი დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5-ზე ნაკლები.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის

მოთხოვნების, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დირექტორთა საბჭოს დადგენილებით.

დანართი 1

სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის სახელი და გვარი,
- სათაური
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი,
- წელი
- გვერდი
- ნიმუში

1. გეგეჭკორი, არნოლდ კავკასია - ბუნების საგანძური. (თბილისი: მერიდიანი, 2007).
2. Ball, Philip Bright Earth: Art and the Invention of Color (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 140.

დამოწმება ტექსტში

(გვარი წელი, გვერდი)

(Ball 2004, 6-18)

(გეგეჭკორი 2007, 27)

თუ ვიმოწმებთ წიგნს, რომელსაც ჰყავს ორი ან სამი ავტორი

- პირველი ავტორის გვარი, სახელი,
- მეორე ავტორის სახელი, გვარი და მესამე ავტორის სახელი გვარი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი.

ნიმუში:

1. კეკელიძე, კორნელი და ალექსანდრე ბარამიძე. ძველი ქართულილიტერატურის ისტორია: V-XVIII სს. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987).
2. Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. Telling the truth about history. (New York: W.W. Norton & Company, 1994).

დამოწმება ტექსტში:

(გვარი და გვარი წელი, გვერდი)

(კეკელიძე და ბარამიძე 1987, 45);

(Appleby, Hunt and Jacob 2005, 27)

სამეცნიერო ჟურნალების სტატია

დამოწმება ბიბლიოგრაფიაში:

- ავტორის გვარი, სახელი.
- ჟურნალის გამოსვლის წელი.
- სტატიის სათაური.
- ჟურნალის სახელწოდება,
- № ნომერი:
- გვერდები.

ნიმუში

1. ბუთხუზი, ნათია. 2016. ლოგისტიკური პროცესების აუტოსორსინგი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #7:71-74
2. Beattie, J.M. 1974. The pattern of crime in England, 1660-1800. Past and Present, no. 62:47-95.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი წელი, გვერდი)
(ბუთხუზი 2016, 71)
(Beattie 1974, 90)

ინტერნეტში განთავსებული მასალა

ბიბლიოგრაფიაში:

- გვარი, სახელი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი. URL მისამართი
- (წვდომის თარიღი)

ნიმუში:

ჯორჯაძე არჩილ 2010. წერილები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/gamomcemlobal/cignebi/archil-djordjadzewerilebi.page> (1.05.2016)

Samora, Julian and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000. <http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ტექსტში:

(გვარი წელი)
(Samora and Simon 2000).
(ჯორჯაძე 2010)

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- მთავრობის (ქვეყნის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით);
- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება (აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული აქ განხილული ყველა პუბლიკაციისთვის გამოიყენეთ აღნიშვნები Washington, DC, და Government Printing Office), გამოქვეყნების თარიღი;
- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა

ნიმუში

ბიბლიოგრაფიაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე*

დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე №136/04 . თბილისი 2017 წლის 26 სექტემბერი

Food Security Act of 1985, HR 2100, 99th Cong., 1st sess., Congressional Record 131, no. 132, daily ed. (October 8, 1985): H 8353-8486.

ტექსტში,

1. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე 2017, 14)
2. (Food Security Act of 1985, Record 131, no. 132)

დანართი (არსებობის შემთხვევაში): მასში შესაძლებელია განთავსდეს: მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ფოტოსურათები , დიაგრამები, სქემები და სხვა. ისინი შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მაგრამ არ იკინძება ნაშრომთან ერთად.